მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობა და ოჯახების ფარმაცევტული ხარჯები საქართველოში გარე რეფერენტული ფასწარმოქმნის დანერგვის შემდეგ

ელენე ლაბუჩიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

ბიზნესის ტექნოლოგიების და განათლების ფაკულტეტზე

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ჯანდაცვის მენეჯმენტში აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

თამარ ბუწაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელენე ლაბუჩიძე

(21.06.2026)

აბსტრაქტი

მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობა წარმოადგენს ჯანდაცვის სისტემების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ფარმაცევტული ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი მოსახლეობის მიერ ჯიბიდან გადახდებით ფინანსდება. საქართველოში მედიკამენტებზე დანახარჯები წლების განმავლობაში შინამეურნეობების ჯანდაცვითი ხარჯების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენდა, რის გამოც მედიკამენტების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ჯანდაცვის პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებად ჩამოყალიბდა. აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ, 2023 წლიდან საქართველოში ამოქმედდა გარე რეფერენტული ფასწარმოქმნის (External Reference Pricing – ERP) სისტემა, რომლის მიზანია მედიკამენტების ფასების რეგულირება და მოსახლეობისთვის მათი ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოში გარე რეფერენტული ფასწარმოქმნის პოლიტიკის დანერგვის შემდეგ მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობის, მოსახლეობის მიერ მედიკამენტებზე გაწეული ხარჯებისა და მედიკამენტების შეძენასთან დაკავშირებული ფინანსური ბარიერების შეფასება.

კვლევა ეფუძნება რაოდენობრივ, ჯვარედინი ტიპის კვლევის დიზაინს. მონაცემები შეგროვდა ანონიმური სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 108 რესპონდენტმა. კვლევის ფარგლებში შეფასდა მედიკამენტების მოხმარების სიხშირე, მედიკამენტებზე გაწეული დანახარჯები, ფინანსური ტვირთი, მედიკამენტების შეძენის ფინანსური ბარიერები, გენერიკული მედიკამენტების მიმართ დამოკიდებულება და გარე რეფერენტული ფასწარმოქმნის პოლიტიკის აღქმა.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მიუხედავად მედიკამენტების ხელმისაწვდომობის გარკვეული გაუმჯობესების აღქმისა, ფინანსური ბარიერები კვლავ ფართოდ არის გავრცელებული. რესპონდენტების მნიშვნელოვან ნაწილს ბოლო 12 თვის განმავლობაში ფინანსური მიზეზებით ერთხელ მაინც გადაუდია მედიკამენტის შეძენა, ხოლო

მედიკამენტებზე გაწეული ხარჯები გამოკითხულთა ნახევარზე მეტისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ ტვირთს წარმოადგენს. კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ დგას დაბალი შემოსავლის მქონე პირებში, ხანდაზმულ მოსახლეობასა და ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებში. ამასთანავე, რესპონდენტების უმრავლესობას არ ჰქონდა მკაფიო წარმოდგენა გარე რეფერენტული ფასწარმოქმნის პოლიტიკის უშუალო გავლენის შესახებ.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ გარე რეფერენტული ფასწარმოქმნის პოლიტიკა მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯია, თუმცა ფინანსური ბარიერების სრულად აღმოსაფხვრელად აუცილებელია დამატებითი პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენება, მათ შორის სახელმწიფო დაფინანსების გაფართოება, ქრონიკული დაავადებების პროგრამების გაძლიერება და მოსახლეობის ფინანსური დაცვის მექანიზმების გაუმჯობესება.

საკვანძო სიტყვები: მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობა, გარე რეფერენტული ფასწარმოქმნა, ფარმაცევტული ხარჯები, ჯიბიდან გადახდები, ფინანსური დაცვა, საქართველო.

Abstract

Medicine affordability represents one of the major challenges facing healthcare systems, particularly in countries where a substantial share of pharmaceutical expenditures is financed through out-of-pocket payments. In Georgia, medicine expenditures have long constituted one of the largest components of household healthcare spending, making the improvement of medicine affordability an important health policy priority. In response to these challenges, the External Reference Pricing (ERP) system was introduced in Georgia in 2023 with the aim of regulating medicine prices and improving their financial accessibility for the population.

The aim of this study is to assess medicine affordability, household pharmaceutical expenditures, and financial barriers to accessing medicines following the implementation of the External Reference Pricing policy in Georgia.

The study is based on a quantitative cross-sectional research design. Data were collected through an anonymous structured questionnaire administered to 108 respondents. The study examined the frequency of medicine purchases, pharmaceutical expenditures, financial burden, financial barriers to obtaining medicines, attitudes toward generic medicines, and perceptions of the External Reference Pricing policy.

The findings indicate that although some respondents perceived improvements in medicine affordability, financial barriers remain widespread. A considerable proportion of respondents reported having postponed the purchase of necessary medicines at least once during the previous 12 months due to financial reasons, while medicine-related expenditures represent a significant financial burden for more than half of the respondents. The study further revealed that affordability challenges are particularly pronounced among low-income individuals, older adults, and patients with chronic diseases. In addition, the majority of respondents did not demonstrate a clear understanding of the direct impact of the External Reference Pricing policy on their ability to access medicines.

The findings suggest that the External Reference Pricing policy constitutes an important step toward improving medicine affordability in Georgia. However, additional policy measures are required to further reduce financial barriers, including the expansion of public financing mechanisms, strengthening support programs for patients with chronic diseases, and improving financial protection within the healthcare system.

Keywords: medicine affordability, External Reference Pricing, pharmaceutical expenditures, out-of-pocket payments, financial protection, Georgia.